ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2695835

ნომერი: AR1416718

თარიღი : 24.06.2016

გაცემის თარიღი : 06.07.2016

გაცნობის თარიღი : 06.07.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინო ჟვანია , N 28 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარი მოსიაშვილი პ/ნ 01017024864
- თბილისი გ.ახვლედიანის ქ. N 15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

– ვერ დგინდება მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ვინაობა, წარმოსადგენია საჯარო რეესტრის ამონაწერი (განახლებული). თუ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეს წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი ამხანაგობის მიერ შედგენილი კრების ოქმი, სადაც კონკრეტულ საკითხად იქნება მითითებული განაცხადით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები. ასევე, წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მინდობილობა ან კრების ოქმშივე უნდა იყოს გათვალისწინებული წარმომადგენლობის უფლებამოსილება. წარმოდგენილ კრების ოქმში განაცხადით მოთხოვნილი სამშენებლო სამუშაოები არ ფიქსირდება, შესაბამისად მისაღები არ არის.

– ასევე ფოტომონტაჟის მიხედვით საჩრდილობლის მოწყობით ხდება ფასადზე არსებული მილების გადაფარვა, საწიროა წარმოდგენილ იქნას ჭრილი აღნიშნული მილისა და საჩრდილობლის ურთიერთშეხების ასახვით, აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე ინფორმაცია უნდა განმარტოთ მოთხოვნის ტექსტში და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.